საქართველოს საელჩო
ქ. დოჰა
EMBASSY OF GEORGIA
DOHA

23460-78-3-201905161602

№ 23460-78
16/05/2019

საგარეო საქმეთა მინისტრის
მოადგილეს ბ-ნ **ალექსანდრე ხვთისიაშვილს**

ბატონო ალექსანდრე,

როგორც თქვეთვის ცნობილია, ჯანდაცვის სფეროში კატარს ერთ-ერთი მოწინავე ადგილი უკავია რეგიონში. თანამედროვე მაღალტექნოლოგიური სიახლეების დანერგვისა და უახლესი ინფრასტრუქტურის შექმნისათვის სახელმწიფოს მხრიდან ყოველწლიურად მნიშვნელოვანი ფინანსური სახსრები გამოიყოფა. ასევე დიდი ყურადღება ეთმობა ჯანდაცვის სფეროს კვალიფიციური კადრებით უზრუნველყოფის საკითხსაც.

საქართველოს და კატარს შორის ჯანდაცვის სფეროში თანამშრომლობის შემდგომი განვითარების მიზნით საელჩო თანამშრომლობს კატარის ჯანდაცვის სამინისტროსა და მის სისტემაში შემავალ სხვადასხვა დაწესებულებასთან. ამ კუთხით ჩატარებული მორიგი შეხვედრისას, რომელიც ჯანდაცვის დარგის სპეციალისტების დეპარტამენტის დირექტორთან ბ-ნ საად ალ - კააბისთან გავმართე, აღინიშნა, რომ კატარის ჯანდაცვის სამინისტრო დაინტერესებულია სხვადასხვა ქვეყნებიდან მოიზიდოს სამედიცინო მუშაკები (ექთნები, ანესთეზიოლოგები, სხვადასხვა სპეციალობის ექიმები და ა.შ.) ალ-კააბის თქმით, მაღალი ანაზღაურების გამო, კატარში დასაქმებული სამედიცინო პერსონალის უმრავლესობა უცხო ქვეყნის მოქალაქეა, შესაბამისად კატარს კარგი გამოცდილება აქვს მედიცინის დარგის უცხოელი სპეციალისტების კატარში დასაქმების მხრივ და სასურველი იქნებოდა, თუ მათ შორის იქნებოდნენ ქართველი სპეციალისტებიც. ბ-ნმა ალ კააბიმ ასევე განაცხადა, რომ მისი დეპარტამენტის შეფასებით, რომელიც ზოგადად გაეცნო საქართველოს ჯანდაცვის სისტემას, ქართველი სპეციალისტები, მათ შორის ექთნები, ფიზიოთერაპევტები, ანესთეზიოლოგები და ლაბორანტები შეესაბამებიან კატარში ხსენებულ სპეცილობებში დასაქმების სტანდარტებს.

ჯანდაცვის დარგის სპეციალისტების დეპარტამენტმა ქართველი ექთნებისა და მედიცინის დარგის სხვა მუშაკების კვალიფიკაციასა და განათლებასთან დაკავშირებით დამატებით მოგვმართა შემდეგი კითხვებით:

- საქართველოს სამედიცინო განათლების სისტემით გაცემული აკადემიური კვალიფიკაცია ბაკალავრის ხარისხს შეესაბამება, თუ ბაკალავრის შემდგომი დონის სპეციალისტის დიპლომს.

- როგორია სამედიცინო განათლების პროგრამების ხანგრძლივობა და კლინიკური ტრეინინგები.

- სწავლება მიმდინარეობს სრული სასწავლო დღე, არასრული სასწავლო დღე თუ დისტანციური სწავლების ფორმით.

- რომელი სახელმწიფო მარეგულირებელი უწყება არის სამედიცინო საქმიანობის და მედიცინის დარგის მუშაკების სერტიფიცირებასა და ლიცენზირებაზე პასუხისმგებელი, ასევე ქართველი ჯანდაცვის მუშაკების კვალიფიკაცია თუ არის აღიარებული საერთაშორისოდ.

- საჭიროა თუ არა ლიცენზიის მიღებამდე სამედიცინო სალიცენზიო გამოცდის გავლა.

ქართული მხრიდან კატარში ჯანდაცვის სპეციალისტების მოვლინების საკითხით დაინტერესების შემთხვევაში, ჯანდაცვის დარგის სპეციალისტების დეპარტამენტი მზადაა საქართველოში მიავლინოს დელეგაცია ზემოხსენებული საკითხების ადგილზე შესწავლის მიზნით (იხ. დანართი).

გთხოვთ, ხსენებული ინფორმაცია აცნობოთ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს აღნიშნულ კითხვებზე ინფორმაციის მოწოდების და კატართან ხსენებულ სფეროში სამომავლო თანამშრომლობასთან დაკავშირებით პოზიციის გაზიარების მიზნით.

დანართი: 1 გვერდი.

პატივისცემით,
ნიკოლოზ რევაზიშვილი

საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი